დანართი №4
დამტკიცებულია შპს „საერთაშორისო პროფესიული
განათლების აკადემიის“ დირექტორის
2026 წლის 15 იანვრის ბრძანებით

შპს საერთაშორისო პროფესიული განათლების აკადემიის
კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზანი

შპს საერთაშორისო პროფესიული განათლების აკადემიის პრიორიტეტია, მისი საქმიანობა განხორციელდეს გარანტირებულად მაღალი ხარისხით და შესაბამისად კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უპირველესი ვალდებულებაა პერმანენტულად ატაროს კვლევები, რომლის მიზანია:

კოლეჯის საქმიანობაში მონაწილე და დაინტერესებული ყველა პირისგან მოპოვებულ იქნას ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, მოკლევადიანი მომზადების/გადამზადების პროგრამების, ცალკეული მოდულების ხარისხის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოდერნულობის/შესაბამისობის, საგანმანათლებლო რესურსების საკმარისობის/შესაბამისობის, სასწავლო პროცესის, ადმინისტრაციული საქმიანობის, პროფესიული განათლების მასწავლებლების შესრულებული სამუშაოების, საწარმოში განხორციელებული სწავლების, პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვის, მათი პროცესებში ჩართულობის, ინიციატივებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, რომელთა შედეგების ანალიზის საფუძველზე უნდა განხორციელდეს პროგრამების განვითარების, სასწავლო პროცესის გაუმჯობესების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფის, პერსონალისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების ტრენინგების საჭიროების, კოლეჯის ფუნქციონირებისთვის პროცესებისა და მარეგულირებელი აქტების დახვეწის საჭიროების დადგენა, რაც მოემსახურება კოლეჯში მიმდინარე ძირითადი და დამხმარე სამუშაოების ხარისხის გაუმჯობესებას და საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს როგორც კოლეჯის პოპულარობის ამაღლებას, ისე აპლიკანტთა რაოდენობის ზრდასა და კურსდამთავრებულთა დასაქმების გაადვილებას.

კვლევის მეთოდოლოგიის შერჩევის საფუძველი

კვლევის მეთოდოლოგია ეყრდნობა კომპლექსურობის თეორიის პოზიციიდან სამყაროს აღქმას და უგულებელყოფილია მარტივ მიზეზ-შედეგობრივი მოდელები, წრფივ პროგნოზირება, ფენომენების დანაწევრების გზით შესწავლის მიდგომა და ისინი ჩანაცვლებულია ორგანული, არაწრფივი და განათლების სფეროში კვლევის კონტექსტის ჰოლისტური მიდგომებით, რომელთა დამახასიათებელია ურთიერთდაკავშირებული მიმართებები, ანუ თითოეული მოვლენა/ფაქტი განიხილება კომპლექსურად და ვერ მოხდება დამოუკიდებლად.

კვლევის მეთოდოლოგიაში უმთავრესი პოზიციონირება არის უკუკავშირი, ციკლურობა, განვითარება, დაკავშირება და თვითორგანიზაცია, ვინაიდან, ეს მიდგომები შორდებიან წრფივი მიზეზ-შედეგობრიობის მარტივ ხედვას, პროგნოზირების, კონტროლისა და მანიპულირების უნარს და მიმართულნი არიან კავშირების დამყარებისკენ, თვითორგანიზაციისკენ, უკუკავშირის მეშვეობით დროთა განმავლობაში განვითარებისკენ, შიდა და გარე გარემოების ურთიერთობისკენ და ადაპტაციისა და ცვლილების გზით გაუმჯობესებისა და განვითარებისკენ.

კომპლექსურობის თეორიით საკვლევ ამოცანას განვიხილავთ ჰოლისტურად, ვინაიდან, ფენომენის გარკვეული შეზღუდული რაოდენობის ცვლადებად დაშლა და შემდეგ მხოლოდ კონკრეტულ ფაქტორებზე ფოკუსირება რამდენიმე მდგენელის/ნაწილის ურთიერთქმედების აუცილებელი დინამიკის დანახვაში შეგვიშლის ხელს და სწორედ კომპლექსურობის თეორიაზე დაყრდნობითაა შესაძლებელი ანალიზის ტრადიციული მიდგომა განათლების კვლევაში განხილული იქნას განცალკევებულად პრობლემები, შეიცვალოს სრული ეკოსისტემით - ჩვენს შემთხვევაში კოლეჯში მიმდინარე პროცესების ურთიერთგავლენა როგორც შიდა კავშირებით, ასევე გარედან ზემოქმედი სუბიექტებისა და ფაქტორების როლით.

კოლეჯის მიერ კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძვლად კომპლექსურობის თეორიის შერჩევის საფუძველი სწორედ ის ფაქტორი გახდა, რომ იგი აღიარებს ზემოთ აღნიშნული ურთიერთობების გათვალისწინების აუცილებლობას. იგი განათლების კვლევისთვის გამომწვევი პერსპექტივაა, ახალი მიმართულებაა, საზოგადოების, თემის, ინდივიდუალური და ინსტიტუციური ცვლილების გაგების/წვდომის მნიშვნელოვან შესაძლებლობებს იძლევა. მისი საშუალებით ცვლილების გაგებასა და ხელშეწყობაში მაკრო და მიკროკვლევებს შორის კავშირის დადგენას უზრუნველყოფს. რაც შეეხება ჰოლიზმს, კომპლექსურობის თეორიის მიხედვით, საჭიროა შემთხვევის შესწავლის მეთოდოლოგია, პრაქტიკის კვლევა და კვლევის მონაწილეობითი ფორმები, რომლებიც დიდწილად ინტერაქციონისტულ, თვისებრივ ახსნებს ეფუძნება, ანუ, სიტუაციებს შეძლებისდაგვარად ბევრი მონაწილის ან დაინტერესებული მხარის თვალით უყურებს. ეს შესაძლებელს ხდის მრავალჯერად მიზეზობრიობას, სხვადასხვაგვარ თვალსაზრისსა და მრავალ განსხვავებულ ეფექტს.

კომპლექსურობის თეორიის ცენტრალური მახასიათებელი _ თვითორგანიზაცია _ განათლების კვლევისადმი მონაწილეობითი, თანამშრომლობითი და მრავალპერსპექტივიანი მიდგომების აღიარებაა და მის ფარგლებში კოლეჯი შეეცდება პროფესიული განათლების

მასწავლებლის ფუნქციისა და როლის გაძლიერებას კვლევით პროცესში, როგორც საგანმანათლებლო პროცესის უშუალო მონაწილეს თავისი მოთხოვნებითა და პასუხისმგებლობებით. ეს კი არ გამორიცხავს სხვა დაინტერესებული მხარეების კვლევებში მონაწილეობას, თუმცა მნიშვნელოვანია წინ წამოიწიოს მისმა როლმა, როგორც მკვლევრის როლმა, რომელიც დაინტერესებულია კვლევის შედეგებითა და განვითარების ღონისძიებების დაგეგმვით.

ამავე დროს, კომპლექსურობის თეორია გულისხმობს შიდა და გარე კვლევების სიმბიოზითა და კვლევითი პარტნიორობით რეალობის მრავალგვარი ხედვის განვითარებას სიტუაციის რამდენიმე პერსპექტივიდან დანახვის საჭიროების ჰარმონიზაციით (ბევრი მეთოდის კომბინაციის გამოყენებით), და კრიტიკული კვლევის იმ პრინციპებსაც ეხამება, რომლებიც მოითხოვს, რომ სხვადასხვა მოსაზრება და პოზიცია იქნას შემოთავაზებული. იგი მძლავრი გამოწვევაა და ამავე დროს რეალური სამოქმედო პროგრამისა და მეთოდოლოგიების ნაკრების შემოთავაზებაცაა, რადგან ის ახალი, ჩამოყალიბების პროცესში მყოფი პარადიგმაა.

კვლევის მეთოდოლოგიის საფუძველი ეყრდნობა რეფლექსიის პრაქტიკის გამოყენებით იდეოლოგიის კრიტიკის ოთხ ეტაპს:

I ეტაპი: არსებული სიტუაციის აღწერა და ინტერპრეტაცია _ ჰერმენევტიკული საქმიანობა, რომლითაც იდენტიფიცირდება მიმდინარე სიტუაცია და მისი მნიშვნელობა.

II ეტაპი: იმ მიზეზების ძიება, რატომ არის არსებული სიტუაცია სწორედ ისეთი, როგორიც არის _ სიტუაციის მიზეზები და მიზნები და მათი კანონიერების/ლეგიტიმურობის შეფასება, სიტუაციაში მოქმედი ინტერესებისა და იდეოლოგიების ანალიზის ჩათვლით, მათი ძალა და კანონიერება (ორივე _ მიკრო და მაკროსოციოლოგიური თვალსაზრისით).

III ეტაპი: სიტუაციის შეცვლის პროგრამა – ეგალიტარული საზოგადოებისკენ მოძრაობისთვის;

IV ეტაპი: პრაქტიკაში სიტუაციის მიღწევის შეფასება

შესაბამისად, მოსალოდნელი მიღწეული შედეგების უტყუარობის მიზნით კვლევის ფარგლებში გამოყენებულია შერეული კვლევის მეთოდი - რაოდენობრივი და თვისებრივი, რათა უფრო სრულყოფილად მოხდეს პრობლემის იდენტიფიცირება.

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში კოლეჯში შესაძლებელია დაიგეგმოს ამა თუ იმ საკითხის შესწავლის მიზნით მასობრივი გამოკითხვა, სოციალური ექსპერიმენტი ან რაოდენობრივი კონტენტ-ანალიზი (სამაგიდო კვლევა), ხოლო თვისებრივი კვლევისთვის გამოყენებული იქნება სიღრმისეული (ჩაღრმავებული) ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი, დაკვირვება, პროფესიული სტუდენტების პორტფოლიოების შესწავლა

კვლევის პოლიტიკა

კოლეჯის მიერ ჩატარებული კვლევის პოლიტიკას წარმოადგენს სამიზნე ჯგუფებიდან ინფორმაციის მიღება საკუთარ დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების ხარისხის კვლევისთვის, რომელსაც ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის რგოლი.

ეთიკურ მოთხოვნათა დაცვა კვლევისას და კვლევაში მონაწილეობა

კვლევის ჩატარების დროს გათვალისწინებულია ეთიკური მოთხოვნების დაცვა და კვლევაში მონაწილეობის პრინციპები, კერძოდ:

- კვლევაში მონაწილეობა ნებაყოფლობითია;
- კვლევა შეიძლება იყოს ღია ან ფარული;
- თითოეული კვლევის მონაწილისგან უზრუნველყოფილია ინფორმირებული თანხმობა;
- თითოეულ კვლევის მონაწილეს კვლევის ნებისმიერ ეტაპზე შეუძლია მასში მონაწილეობაზე უარის გაცხადება;
- კვლევის მონაწილეთა ანონიმურობა დაცულია;
- სამიზნე ჯგუფებიდან მიღებული ინფორმაცია კონფიდენციალურია და შესაძლებელია ფართო საზოგადოებას ეცნობოს მხოლოდ კვლევის შედეგები;
- კვლევის მასალების დამუშავებისას პირს არ შეუძლია კვლევაში მონაწილე პირის იდენტიფიცირება დასამუშავებელი მასალების მიხედვით;
- კვლევაში მონაწილეობა/კვლევით მიღებული შედეგები არ აყენებს ზიანს კვლევაში მონაწილე პირს/პირებს;

სამიზნე ჯგუფი

კოლეჯში ჩატარებული კვლევების სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს:

- პროფესიული სტუდენტები/მსმენელები;
- კურსდამთავრებულები;
- პროფესიული განათლების მასწავლებლები/პრაქტიკის ინსტრუქტორები/მომზადება-გადამზადების პროგრამის განმახორციელებლები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები;

- ადმინისტრაციული პერსონალი;
- პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლები;
- დამსაქმებლები.

შერჩევა

კოლეჯი აცნობიერებს, რომ კვლევის ხარისხი დამოკიდებულია კვლევის შერჩეულ მეთოდოლოგიაზე და ინსტრუმენტების რელევანტურობაზე, კვლევაში გამოყენებული შერჩევის სტრატეგიის ადეკვატურობაზე, შერჩევის ზომაზე, რომელიც დამოკიდებულია განსხვავებული ქვეჯგუფების, სტრატების რაოდენობაზე. გამომდინარე იქიდან, რომ თითოეული ქვეჯგუფის შერჩევის ზომა უნდა იყოს რეპრეზენტაციული, სტრატიფიცირება ხორციელდება პროგრამების პარამეტრის მიხედვით. შესაბამისად, რაც უფრო მეტია სტრატების რაოდენობა, მით უფრო დიდი არის შერჩევა. ამასთან გასათვალისწინებელია რამდენიმე ფაქტორი. კერძოდ, შესაძლებელია ზოგიერთმა მონაწილემ დატოვოს კვლევა, არ დააბრუნოს, ან დააბრუნოს არასრულად შევსებული ანდა გაფუჭებული კითხვარი. აქედან გამომდინარე, შერჩევის ზომა საჭიროზე მეტი უნდა იყოს.

შერჩევა განსხვავდება კვლევის მიზნის მიხედვით, მაგ.: პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა შერჩევისას გამოყენებულია არაალბათური შერჩევა, ხოლო შერჩევის ტიპად - ხელმისაწვდომი შერჩევა. აღნიშნული განპირობებულია იქიდან, რომ იძლევა რესპონდენტებად ყველაზე მეტად ხელმისაწვდომი ინდივიდების არჩევის შესაძლებლობას. ეს შერჩევა არ არის განკუთვნილი უფრო ფართო პოპულაციაზე გენერალიზაციისთვის. თუ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა რაოდენობა არის მცირე (10 პროფესიული სტუდენტი/მსმენელი), შესაძლებელია რესპონდენტებად შეირჩეს ყველა სტუდენტი/მსმენელი, ან მინიმუმ მათი 80%. შერჩევის შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილში 1.

პროგრამების განმახორციელებელი პირების, პროგრამის ხელმძღვანელების და პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენელთა შერჩევისას გამოყენებულია არაალბათური შერჩევა, ხოლო შერჩევის ტიპად - მიზნობრივი შერჩევა, სხვა დაინტერესებული მხარეებისგან ინფორმაციის მისაღებად შესაძლებელია ალბათური შერჩევა იქნას გამოყენებული, ასევე ალბათური შერჩევით მოხდება თვისებრივი კვლევის ფარგლებში დოკუმენტების ამოღება ანალიზისთვის. როგორც სახელწოდებიდან ჩანს, შერჩევა კონკრეტული მიზნისთვის არის არჩეული. შესაბამისად, კვლევისთვის მნიშვნელოვანია ყველა განმახორციელებელი პირის ჩართულობა, რადგან იგი მოგვცემს საშუალებას, მივიღოთ ინფორმაცია იმ ადამიანებისგან, რომლებმაც თავიანთი საქმიანობიდან გამომდინარე ბევრი იციან საკვლევი საკითხის შესახებ.

მონაცემთა შეგროვების მეთოდები და ინსტრუმენტები

მონაცემების შეგროვებისთვის გამოყენებულია რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები. თვისებრივი მეთოდი გვაძლევს ინფორმაციას კონტექსტზე, კონკრეტულ ადამიანებსა და გარემოზე, თუმცა მიგნებებს ვერ განვაზოგადებთ, რადგან ისინი მხოლოდ იმ კონკრეტულ ადამიანებზე ვრცელდება. რაოდენობრივი მეთოდი კი გვაძლევს რიცხვებით გამოხატულ მაჩვენებელს ადამიანთა გარკვეულ რაოდენობაზე.

კვლევის ფარგლებში მონაცემთა შეგროვების შემდეგი მეთოდები შეიძლება იქნას გამოყენებული:

- გამოკითხვა;
- ინტერვიუ;
- ფოკუს ჯგუფი;
- დაკვირვება
- კონტენტ ანალიზი.

მონაცემთა შეგროვების თითოეული მეთოდის/ინსტრუმენტის აღწერა

გამოკითხვა - გამოიყენება სტრუქტურირებული კითხვარი, რომელიც მოიცავს როგორც დახურულ, ასევე ღია კითხვებს და შედგება რამდენიმე თემატური ჯგუფისგან. კვლევის ძირითადი ამოცანების შესწავლისთვის დახურული კითხვების გამოყენება განპირობებულია რაოდენობრივი მონაცემების მიღების საჭიროებით, ხოლო ღია კითხვები კვლევის მონაწილეებს საკუთარი სიტყვებით - პასუხების აღწერის, ახსნისა და შეფასების საშუალებას აძლევს. შესაბამისად, კვლევის მონაწილეები არ არიან შეზღუდულები პასუხების წინასწარ განსაზღვრული კატეგორიებით. პროფესიული სტუდენტების/მსმენელების და პროფესიული განათლების მასწავლებლების/პრაქტიკის ინსტრუქტორების/მომზადება-გადამზადების პროგრამის განმახორციელებელთა შემთხვევაში გამოიყენება გამოკითხვა.

პროფესიულ სტუდენტებთან სამი ტიპის კითხვარი გამოიყენება. პირველი კითხვარით ფასდება მოდულის განმახორციელებელი პირების კომპეტენცია, სასწავლო გარემოს ადეკვატურობა და საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსების ხელმისაწვდომობა, მეორე კითხვარით ფასდება პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების ხარისხი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტისა და სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების შესახებ, ხოლო მესამე კითხვარით ფასდება საწარმოო პრაქტიკის განხორციელება. მსმენელებთან გამოიყენება ერთი ტიპის კითხვარი.

პროფესიული განათლების მასწავლებლები, პრაქტიკის ინსტრუქტორები, მომზადება-გადამზადების პროგრამების განმახორციელებლები აფასებენ პროგრამას, პროგრამის დაგეგმვასთან, სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებულ საკითხებს, საგანმანათლებლო და

მატერიალური რესურსების ადეკვატურობასა და ხელმისაწვდომობას, ხოლო საწარმოო პრაქტიკის ფარგლებში პარტნიორი ორგანიზაციები აფასებენ პროფესიული სტუდენტების/მსმენელების მიერ გამოვლენილ უნარებს.

შესაძლებელია, სამიზნე ჯგუფებისთვის გამოყენებული იყოს ელექტრონული გამოკითხვა. შესაბამისად, კითხვარის შევსება რესპონდენტისთვის მოსახერხებელ დროსა და გარემოცვაში არის შესაძლებელი, რაც, საჭიროების შემთხვევაში, მას ინფორმაციის გადამოწმების და პასუხებზე დაფიქრების შესაძლებლობას მისცემს. თუმცა შესაძლებელია რესპონდენტებმა თავი არ შეიწუხონ კითხვარის ზედმიწევნით შევსებით, ან სწორად ვერ გაიგონ კითხვები, რაც ამგვარი გამოკითხვის სუსტი მხარეა. ელექტრონული გამოკითხვის შემთხვევაში, რესპონდენტებს ეძლევათ მინიმუმ სამი და მაქსიმუმ ერთი კვირა კითხვარის შესავსებად.

ინტერვიუ - საჭიროების შემთხვევაში, მის მიზანს წარმოადგენს უფრო მეტად ჩავუღრმავდეთ საკვლევ საკითხს და გავიგოთ მეტი იმის შესახებ, თუ რა საშუალებით არის შესაძლებელი გამოვლენილი პრობლემის დაძლევა, ან აღმოფხვრა. ინტერვიუსთვის კითხვები მუშავდება საკვლევი საკითხიდან გამომდინარე, მას შემდეგ, როცა ამის საჭიროება დადგება.

ფოკუს ჯგუფი - საჭიროების შემთხვევაში, ფოკუს ჯგუფი შედგება პროგრამების ხელმძღვანელებისგან, მოდულის განმახორციელებელი პირებისგან ან პროფესიული სტუდენტებისგან/მსმენელებისგან. აღნიშნული მეთოდი საშუალებას იძლევა მივიღოთ დამატებითი ინფორმაცია, მოძიებულ იქნას ახალი იდეები მონაწილეთა გამოცდილების საფუძველზე და მიღებული ინფორმაცია გამოყენებული იყოს კითხვარებისა და შემდგომი ინტერვენციების შესამუშავებლად. კითხვები მუშავდება მას შემდეგ, რაც გამოკითხვის და/ან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთება პრობლემა.

დაკვირვება - საკონტაქტო საათზე დაკვირვების მიზანს წარმოადგენს იმის ნახვა, თუ რეალურად როგორ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი, მოხდეს პროგრამების დანერგვის/ განხორციელების მიმდინარეობისას ხარვეზებისა და უპირატესობების გამოვლენა, რაც შესაძლებელს გახდის გაკეთდეს გაუმჯობესებისთვის საჭირო დასკვნები და შემდგომ განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები. დაკვირვება ხორციელდება სტრუქტურირებული კითხვარით წინასწარ განსაზღვრული მონაცემების შეგროვების მიზნით. დასაკვირვებელი პირები უშუალოდ იღებენ მონაწილეობას სწავლა-სწავლების პროცესში და შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მიერ საკონტაქტო საათებიდან მიღებული ცოდნის პრაქტიკულ რეალიზებაში.

მონაცემთა შეგროვების აღნიშნული მეთოდები მიზნად ისახავს მოპოვებულ იქნას ინფორმაცია ყველა სამიზნე ჯგუფიდან და მოძიებულ იქნას ის გზები თუ საშუალებები, რომლებიც განაპირობებს და უზრუნველყოფს პრობლემის იდენტიფიცირებას და დაგეგმილი ინტერვენციების მეშვეობით პროგრამების განვითარებას.

კონტენტ ანალიზი - იგივე „შინაარსობრივი ანალიზი“ სხვადასხვა დოკუმენტური მონაცემების, მათი ძირითადი შინაარსისა და მოწოდებული ცნობის - შეჯამებასა და წარდგენას გულისხმობს. კონტენტ ანალიზი განისაზღვრება, როგორც წერილობითი მონაცემების

შინაარსის დეტალური ანალიზის, შესწავლისა და დასაბუთების ზუსტი და თანმიმდევრული პროცედურების ერთობლიობა და წარმოადგენს კვლევის ტექნიკას, რომელიც ტექსტებიდან ან შესასწავლი საკითხის მიმართ მნიშვნელობის მქონე სხვა შინაარსიდან ვალიდური დასკვნების გასაკეთებლად არის განკუთვნილი.

კვლევის შედეგების უტყუარობა

კვლევის ფარგლებში მონაცემთა შეგროვების მეთოდების/ინსტრუმენტების შერჩევა უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს ზუსტი, რეპრეზენტაციული და რელევანტური მონაცემების მიღებას. არავალიდური მონაცემების მიღებისგან თავის არიდების მიზნით არ არის გამოყენებული ორაზროვანი და მიმანიშნებელი კითხვები. ასევე, ვალიდურობის მიზნით ყოველწლიურად შესაძლებელია კითხვარის შინაარსისა და კითხვების ფორმულირების დახვეწა.

ასევე, მნიშვნელოვანია კვლევის შედეგების სანდოობა, რომლის განმასაზღვრელია ამ კვლევის სწორად დადგენილი გამეორებადობა, პროგნოზირებადობა, სიზუსტე, უპატიოსნების იძულებითი გამომწვევი ინსტრუმენტის გამორიცხვა (როცა კვლევაში მონაწილე არ ენდობა ბოლომდე მის არაიდენტიფიცირებულობას ან აქვს მოლოდინი, რომ მის მიერ დაფიქსირებულ მოსაზრებას მოყვება მისთვის უარყოფითი შედეგი) და სხვ.

სრულიად ახალი მიმართულების კვლევის დაგეგმვისას შესაძლებელია გამოყენებული იქნას პილოტირება, რომლითაც გადამოწმდება კვლევის პარამეტრები და ეფექტიანობა.

მონაცემთა ანალიზი და რეაგირება

ხარისხის მართვის მენეჯერი შეისწავლის და აანალიზებს სამიზნე ჯგუფების გამოკითხვისა და დაკვირვების მონაცემებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/მომზადება-გადამზადების პროგრამების შემდგომი განვითარების მიზნით, წელიწადში ერთხელ. ყოველწლიურად ფასდება განხორციელებული პროგრამების მინიმუმ 50%. განხორციელებული კვლევის ანგარიში წარედგინება დირექტორს.

ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ შემუშავებული ანგარიში განიხილება დირექტორის მოადგილესთან, სასწავლო პროცესის მენეჯერთან/სპეციალისტებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან/პრაქტიკის ინსტრუქტორებთან/მომზადება-გადამზადების პროგრამის განმახორციელებლებთან, რომლებსაც პროგრამების განვითარების მიზნით მიეწოდებათ ხარვეზების აღმოფხვრის გზებზე ინფორმაცია.

კითხვარის ფორმები მოცემულია დანართებად კოლეჯის შესაბამის მარეგულირებელ დოკუმენტებში.

ფოკუს ჯგუფი, კონტენტ ანალიზი, ინტერვიუ და დაკვირვება ხორციელდება კონკრეტული საჭიროებების მიხედვით და მის დაგეგმვას ახორციელებს კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი, ხოლო გამოკითხვა ხორციელდება კითხვარების მეშვეობით, რომელთა წარმოებაზე გამოყოფილია პასუხისმგებელი პირები, განსაზღვრულია სიხშირე და დადგენილია დრო (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1.

კითხვარის დასახელება	კვლევის ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირი	კვლევის მიზანი	სამიზნე ჯგუფი	შერჩევის პარამეტრი	კვლევის სიხშირე	კვლევის შედეგების დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირი	კვლევის შედეგად რეკომენდაციების შემმუშავებელი პირი	შენიშვნა
ადმინისტრაციის კითხვარი	ხარისხის მართვის მენეჯერი	პროცესებით, რესურსებით კმაყოფილების ანალიზი	კოლეჯის ადმინისტრაცია	80%	წელიწადში ერთხელ	ხარისხის მართვის მენეჯერი	ხარისხის მართვის მენეჯერი	
პროფესიული სტუდენტის კითხვარი	ხარისხის მართვის მენეჯერი	პროცესებით, რესურსებით კმაყოფილების ანალიზი	პროფესიული სტუდენტები	60%	წელიწადში ორჯერ	ხარისხის მართვის მენეჯერი	ხარისხის მართვის მენეჯერი	
პროფესიული განათლების მასწავლებლის კითხვარი	ხარისხის მართვის მენეჯერი	პროცესებით, რესურსებით კმაყოფილების ანალიზი	პროფესიული განათლების მასწავლებლები	60%	წელიწადში ერთხელ	ხარისხის მართვის მენეჯერი	ხარისხის მართვის მენეჯერი	
პროფესიული განათლების მასწავლებლის თვითშეფასების კითხვარი	ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი	განვითარების საჭიროების ანალიზი	პროფესიული განათლების მასწავლებლები	50%	წელიწადში ერთხელ	ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი	ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი	ახლად მიღებული პროფესიული განათლების მასწვლებლებისთვის არაუგვიანეს მიღებიდან ერთი წლისა და არსებული აკადემიური პერსონალის შემთხვევაში არანაკლებ ორ წელიწადში ერთხელ
კითხვარი კურსდამთავრებულების ათვის	ხარისხის მართვის მენეჯერი	პროგრამის სწავლის შედეგებით კმაყოფილების და კარიერული	კოლეჯის კურსდამთავრებულები	90%	წელიწადში ერთხელ	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი	კურსდამთავრებულთა პირველადი გამოკითხვა წარმოებს კვალიფიკაციის მინიჭებიდან

		მოწყობის ანალიზი						არაუგვიანეს სამი თვისა, ხოლო განმეორებითი კი არაუგვიანეს ორი წლისა
პარტნიორი ორგანიზაციის კითხვარი	ხარისხის მართვის მენეჯერი	პროგრამის სწავლის შედეგებით კმაყოფილების ანალიზი	პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები	100%	წელიწადში ერთხელ	ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი	ხარისხის მართვის მენეჯერი	
მსმენელის კითხვარი	ხარისხის მართვის მენეჯერი	პროგრამის სწავლის შედეგებით კმაყოფილების ანალიზი	მომზადება/გადამზადების პროგრამების მსმენელები	80%	ყოველი მომზადება/გადამზადების პროგრამის განხორციელებისას	ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი	ხარისხის მართვის მენეჯერი	
მომზადება/გადამზადების განმახორციელებელი პირის კითხვარი	ხარისხის მართვის მენეჯერი	პროცესებით, რესურსებით კმაყოფილების ანალიზი	მომზადება/გადამზადების პროგრამების განმახორციელებლები	80%	ყოველი მომზადება/გადამზადების პროგრამის განხორციელებისას	ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი	ხარისხის მართვის მენეჯერი	
შიდა მონიტორინგის ჯგუფის სააუდიტორიო მუშაობაზე დასწრების ოქმი	ხარისხის მართვის მენეჯერი	სწავლების/შეფასების პროცესების ხარისხის ანალიზი	პროფესიული განათლების მასწავლებელი	60%	თვეში ერთხელ	ხარისხის მართვის მენეჯერი	ხარისხის მართვის მენეჯერი	